



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011716971725421

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

118538

19 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 119714/17; თარიღი: 15.03.2021.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები: თამარ აფციაურის (პირადი ნომერი 01002010386) წარმომადგენელი ირმა მახათაძე (პირადი ნომერი 18001007618) და ნიკოლოზ კოჭმანაშვილის (პირადი ნომერი 01008052938) კანონისმიერი წარმომადგენელი ელენე ლეჟავა (პირადი ნომერი 01030024745).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882021121903-05 (25.02.2021) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორების მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

უძრავი ნივთის მისამართი: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი.

№ 882021121903 სარეგისტრაციო განცხადებით მოთხოვნილია მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წილკანში მდებარე 72.02.39.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაყოფის საფუძველზე, საკუთრების უფლებების რეგისტრაცია.

72.02.39.007 საკადასტრო კოდით მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია თამარ აფციაურის (პირადი ნომერი 01002010386) და 2006 წელს დაბადებული ნიკოლოზ კოჭმანაშვილის (პირადი ნომერი 01008052938) თანასაკუთრებაში.

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882021121903-05 (25.02.2021) გადაწყვეტილების თანხმად, მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებად წარსადგენია სასამართლოს თანხმობა მიწის ნაკვეთის დაყოფასთან დაკავშირებით. ასევე, მინდობილობა, რომლითაც დადგინდება ირმა მახათაძის უფლებამოსილება მართოს და განკარგოს თამარ აფციაურის ქონება.

№ 119714/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოქმედების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვი არის 18 წლამდე არასრულწლოვანი.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 24-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მშობელი არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდის მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-80 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და

თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საჯარო რეესტრმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში თამარ აფციაურის (პირადი ნომერი 01002010386) წარმომადგენლის ირმა მახათაძის (პირადი ნომერი 18001007618) და ნიკოლოზ კოზმანაშვილის (პირადი ნომერი 01008052938) კანონისმიერი წარმომადგენლის ელენე ლეჟავას (პირადი ნომერი 01030024745) №119714/17 (15.03.2021) ადმინისტრაციული საჩივარი.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ: თამარ აფციაური (პირადი ნომერი 01002010386), ნიკოლოზ კოზმანაშვილი (პირადი ნომერი 01008052938) ან/და მისი კანონისმიერი წარმომადგენელი ალექსანდრე კოზმანაშვილი (პირადი ნომერი 01005001135).

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ დაინტერესებულ მხარეებს და ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს.

4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



დავით დევიძე